



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/5617-14

29 სექტემბერი, 2014 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები - ნატალია ნაზდაიძე, ნათია გუჯაბიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორი - სპს **გ.** და პარტნიორები

წარმომადგენელი - **ე. ჩ.**

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ივლისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ საჩივარს, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის, საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივით ვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ კანონის შესაბამისად დააკმაყოფილა **ლ. კ.-ს** განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ და ასეთი განცხადება გადაუდებელ შემთხვევაში, შეიძლება წარდგენილ იქნეს სარჩელის აღძვრამდე. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ივლისის განჩინებით განმცხადებლის (სავარაუდო მოსარჩელის) **ლ. კ.-ს** მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აეკრძალა სავარაუდო მოპასუხე სპს **გ.** და პარტნიორებს (ს.კ. **XXXXXXXXXX**) მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა. რომლის რეკვიზიტებია: ქ. თბილისის, **თ. ა.-ს** ქუჩა **#XX**, ბინა **#X**, სადარბაზო **X**, სართული **X**, ფართი 109,10 კვ.მ, დაზუსტებული ფართობი: 1106.00 კვ.მ, საკადასტრო კოდი **#XXXXXXXXXXXX**

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო სამართალწარმოების პროცესში, მოპასუხე სპს **გ.** და პარტნიორების“ მიერ კუთვნილი ქონების გასხვისებით დაუშვებლად შეილახება **ლ. კ.-ს** უფლება მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღსრულოს გადაწყვეტილება. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სპს **გ.** და პარტნიორებისთვის უძრავი ქონების გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის აკრძალვით, შექმნილია ის სამართლებრივი გარანტიები, რომლითაც მოხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება, იმ



შემთხვევაში, თუ საქმის არსებითად განხილვის შედეგად სასამართლო სასარჩელო მოთხოვნას დასაბუთებულად და საფუძვლიანად მიიჩნევს.

პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გულისხმობს უფლების დროებით შეზღუდვას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა, უფლების დროებით შეზღუდვის დროსაც მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის. სწორედ, აღნიშნული ბალანსის დაცვას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხისათვის მიყენებული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიების შექმნის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც, სასამართლოს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება გაუმართლებელი აღმოჩნდეს და ასევე სახეზეა ზიანი, რომელიც მოპასუხეს უზრუნველყოფის ღონისძიებით ადგება ან შეიძლება მიაღგეს. სასამართლოს მიერ, საკუთარი ინიციატივით, ზიანის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობის შემთხვევაში, ზიანი მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოება ხდება და მან უნდა ამტკიცოს, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით მისი უფლებები დაუშვებლად ილახება და მას ზიანი ადგება ან გარდაუვალია, მისთვის ზიანის მიყენება. მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებით სპს გ. და პარტნიორებისათვის ზიანის მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეზე წარმოდგენილი არ არის. უფრო მეტიც, სადავო ქონების გაყიდვის შეუძლებლობით ზიანის მიყენების ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში მხედველობაში ვერ მიიღება, ვინაიდან უზრუნველყოფის არსიც სწორედ ის არის, რომ მოპასუხემ ქონება არ გაასხვისოს და მოსარჩელეს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის საშიშროება არ შეექმნას.

პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის საფუძველად მითითებული გარემოებები, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი და 199-ე მუხლის მეორე ნაწილი არ უნდა გახდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ივლისის განჩინების გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სპს გ. და პარტნიორების წარმომადგენლის, დ. გ.-ს საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის (საჩივრის) თაობაზე არ გასაჩივრდება.



ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე, 372-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა

1. სპს **გ.** და პარტნიორების წარმომადგენლის, **დ. გ.-ს** საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 ივლისის განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნატალია ნაზლაიძე

ნათია გუჯაბიძე